

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, №39 (46), 1999 წელი, მუხ. 190) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“1. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელებზე და ამ კოდექსის VII³ თავით გათვალისწინებულ საქმეებზე”

2. 21¹² მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 21¹². სასამართლოსათვის მიმართვა
1. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.
2. ოჯახში ძალადობისას სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას.”

3. 21¹³ მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

4. 21¹³ მუხლის მე-3 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის “ბ¹” ქვეპუნქტი:
“ბ¹) მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონის (მათ შორის – მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;”

5. 21¹³ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3¹, მე-3² და მე-3³ ნაწილები:
“3¹. თუ განცხადების წარმომდგენი უშუალოდ თვითონ არ არის მსხვერპლი, განცხადებას უნდა დაერთოს ამ კოდექსის 21¹² მუხლით

გათვალისწინებული უფლებამოსილების (სამართლებრივი კავშირის) დამადასტურებელი მტკიცებულება.

3². განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს იმდენი ასლით, რამდენი მონაწილე პირიც არის პროცესში.

3³. განცხადების სასამართლოში შეტანისას, თუ განცხადება ფოსტით არ არის გაგზავნილი, სასამართლოს კანცელარია ამოწმებს განცხადების ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს და ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში განცხადების შემომტანს მიუთითებს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ. განცხადების ფორმალური მხარის შემოწმებისას ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს:

ა) აღნიშნულია თუ არა ამ კოდექსის 21¹³ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ რეკვიზიტები;

ბ) ერთვის თუ არა განცხადებას თანდართული დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი;

გ) წარდგენილია თუ არა განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც პროცესის მონაწილე პირია.“

6. 21¹³ მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ“.

7. 21¹³ მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„5. სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში განცხადებასა და თანდართულ მასალებს უგზავნის იმ პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, ასევე აძლევს მას უფლებას წარადგინოს მტკიცებულებები. პირი რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, უფლებამოსილია წერილობით უპასუხოს განცხადებაში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოში უწყების მიღებიდან 3 დღის ვადაში“.

8. 21¹³ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ და 5² ნაწილები:

„5¹. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით, საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე.

5². ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო ასევე იხილავს არასრულწლოვანთან მოძალადე მშობლის/მშობლების ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას მოძალადე მშობლისგან არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი. აღნიშნულის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო დროებითი ღონისძიების სახით იღებს გადაწყვეტილებას მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში“.

9. 21¹³ მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ თავით განსაზღვრული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ან/და შემაკავებელი ორდერის მოქმედებას. საჩივართან დაკავშირებით, ამ თავით დადგენილი წესით, გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო, საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და არ საჩივრდება.“

10. 21¹³ მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მხარეთა გამოუცხადებლობა ან მოწვევის შეუძლებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შესაბამის სასამართლოში“.

11. 21¹³ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ ნაწილი:

„7¹. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში, გადაეცემათ მხარეებს. დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აგრეთვე ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს, თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხი/ები შეეხება არასრულწლოვანს –სასამართლოს გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, მოძალადისათვის იძულებითი მკურნალობის განსაზღვრის შემთხვევაში –სასამართლოს გადაწყვეტილება ეგზავნება შესაბამის სამედიცინო ან სამკურნალო დაწესებულებას, ხოლო თუ გადაწყვეტილება შეეხება იარაღის საკითხებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.“

12. 21¹³ მუხლის მე-8 ნაწილი ამოღებული იქნეს:

13. 21¹⁴ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21¹⁴ შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი

1. ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემული იქნეს შემაკავებელი ორდერი.

2. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

3. შემაკავებელი ორდერი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

4. სასამართლო შემაკავებელი ორდერის დასამტკიცებლად წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის

საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივი დამტკიცების შესახებ.

5. სასამართლო გადაწყვეტილებაში შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ დეტალურად უნდა იქნას ასახული მოძალადისათვის დაწესებული შეზღუდვების პირობები და მსხვერპლის დასაცავად გათვალისწინებული ღონისძიებები.

6. სასამართლო პოლიციის უფლებამოსილი პირის ან პროცესის მონაწილე სხვა პირთა მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრავს შემაკავებელი ორდერის მოქმედების კონკრეტულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვის ვადისა.

7. სასამართლო გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ გამოცხადებისთანავე შედის ძალაში და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება პროცესის მონაწილე მხარეებს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით, თუ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხი/ები შეეხება არასრულწლოვანს, სასამართლოს გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს; მოძალადისათვის იძულებითი მკურნალობის განსაზღვრის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება ეგზავნება შესაბამის სამედიცინო ან სამკურნალო დაწესებულებას; ხოლო თუ გადაწყვეტილება შეეხება იარაღის საკითხებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.“

8. თუ შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხის განხილვისას სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, საქმის მასალები ქვემდებარეობის შესაბამისად ეგზავნება შესაბამის ორგანოს სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხის გადასაწყვეტად.

9. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის თაობაზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ხორციელდება ამ თავით დადგენილი წესით.“

14. 21¹⁵ მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის ე)) ქვეპუნქტი:

„ე) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით ორდერის გამოცემის ან მისი დამტკიცების საკითხის განხილვისას გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე უფლებამოსილია მოძალადეს, რომელსაც ესაჭიროება ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის ან ისეთი ფსიქიური დაავადების მკურნალობა, რომელიც არ გამორიცხავს შერაცხადობას ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებისა და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაუნიშნოს იძულებითი მკურნალობა და იძულებითი მკურნალობის დანიშვნის შემთხვევაში განუსაზღვროს მოძალადეს მკურნალობის სახეები (მოძალადისათვის იძულებითი მკურნალობის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ვალდებულია პროცესზე მოიწვიოს სპეციალიზირებული სამედიცინო ან სამკურნალო დაწესებულების წარმომადგენლები); პროცედურა დეტალურად გაიწეროს და ვადები გაიზარდოს (გადაიხედოს ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქ. კანონი).“

15. 21¹⁵ მუხლის მე-3 ნაწილის ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ე) მოძალადის არასრულწლოვანთან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს”

16. 21¹⁵ მუხლის მე-3 ნაწილის ზ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით), სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, აღნიშნულ პერიოდში იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის მოპოვების უფლების აკრძალვასა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი (მათ შორის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) იარაღის შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობებს;“

17. 21¹⁵ მუხლის მე-3 ნაწილის კ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ;“

18. 21¹⁵ მუხლის მე-4 ნაწილის დ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“დ) მოძალადის არასრულწლოვანისაგან განცალკევების საკითხებს.”

19. 21¹⁵ მუხლის მე-4 ნაწილის ვ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით), სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, აღნიშნულ პერიოდში იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის მოპოვების უფლების აკრძალვასა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი (მათ შორის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) იარაღის შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობებს;“

20. 21¹⁵ მუხლის მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის ვ¹) ქვეპუნქტი:

„ვ¹) გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ;“

21. 21¹⁵ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5¹ მუხლი:

„5¹. შემაკავებელი/დამცავი ორდერის მოქმედების ვადა განისაზღვრება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით.“

22. 21¹⁵ მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დამცავი ორდერი მზადდება არანაკლებ 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს, ერთი ეგზემპლარი რჩება მის გამომცემ ორგანოში, ხოლო ერთი ეგზემპლარი ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის

ადგილსამყოფელის მიხედვით. თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხი/ები შეეხება არასრულწლოვანს, დამცავი ორდერის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, მოძალადისათვის იძულებითი მკურნალობის განსაზღვრის შემთხვევაში, დამცავი ორდერის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შესაბამის სამედიცინო ან სამკურნალო დაწესებულებას, ხოლო თუ გადაწყვეტილება შეეხება იარაღის საკითხებს - დამცავი და შემაკავებელი ორდერის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.“

დამცავ ორდერთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს ბარდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.”

23. 21¹⁵ მუხლს დაემატოს მე-6¹ ნაწილი:

“6¹ თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შემაკავებელი ორდერი მზადდება არანაკლებ 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს, ერთი ეგზემპლარი რჩება მის გამომცემ ორგანოში და ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სასამართლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი სამართლებრივი პროცედურის განსახორციელებლად.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი